საგრანტო კონკურსი
რეგიონული პარტნიორი ორგანიზაციების შესარჩევად

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამა, ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „გაზრდილი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა და მომხმარებელთა ცნობიერება“ ფარგლებში **აცხადებს საგრანტო კონკურსს რეგიონული პარტნიორი ორგანიზაციების შესარჩევად.**

ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ
საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც 1995 წელს დაფუძნდა. მისი მისიაა, საქართველოში საზოგადოების კეთილდღეობისათვის, კარგი მმართველობის, მდგრადი, ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისა და აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ხელშეწყობა.

ორგანიზაციის შესახებ სრული ინფორმაციისათვის იხილეთ საიტი https://csrdg.ge/.

საქართველოში მომხმარებლის უფლებების დაცვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით ორგანიზაცია 2009 წლიდან მუშაობს და ამ მიმართულებით მისი ძირითადი საქმიანობებია: საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობისა და ბაზრის მონიტორინგი; საკანონმდებლო რეფორმების ადვოკატირება.

მეტი ინფორმაცია მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამის შესახებ იხილეთ საიტზე momxmarebeli.ge.

ინფორმაცია პროექტის შესახებ
კონკურსი ცხადდება ევროკავშირის „სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის“ (ENPARD – Georgia) მეოთხე ფაზის (ENPARD IV) ფარგლებში დაფინანსებული პროექტის „გაზრდილი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა და მომხმარებელთა ცნობიერება“ მიერ (2023 წლის იანვარი - 2025 წლის დეკემბერი). პროექტს ახორციელებს კოალიცია, რომელშიც შედიან საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (წამყვანი პარტნიორი), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი და საქართველოს მთიანი რეგიონების ამბროლაურის რაიონის ფერმერ-მეფუტკრეთა ასოციაცია.

პროექტი მიზნად ისახავს:

1. მერძევეობისა და მეფუტკრეობის მიწოდების ჯაჭვის მხარეების (ფერმერები, ძირითადი მწარმოებლები, სურსათის სხვა ბიზნესოპერატორები) პრაქტიკული უნარ-ჩვევებით, ცოდნითა და გაძლიერებული შესაძლებლობებით აღჭურვა, რათა გაუმჯობესდეს მათი საქმიანიბის შესაბამისობა სურსათის უვნებლობისა და სანიტარიულ/ფიტოსანიტარიულ ნორმებთან;

2. დაინტერესებული მხარეების (საჯარო, საცალო ვაჭრობის, ფერმერების/მწარმოებლების, ლაბორატორიების, მომხმარებლების) გაუმჯობესებული კომუნიკაცია და მონაწილეობა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულ რეფორმის პროცესში;

3. მომხმარებლების, სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებისა და მედიის ცნობიერების ამაღლება სურსათის უვნებლობის მარეგულირებელი მოთხოვნებისა და მომხმარებლის უფლებების შესახებ,

უკეთ ინფორმირებული მომხმარებლის და მისი ყიდვის გაცნობიერებული გადაწყვეტილების და ხარისხიან პროდუქტზე გაზრდილი მოთხოვნის ხელშეწყობის მიზნით.

პროექტის სამიზნე რეგიონებია: კახეთი, იმერეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი.

კონკურსის მიზანი და ამოცანა

<u>კონკურსის მიზანია</u> საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელშეწყობა სურსათის უვნებლობის სფეროში სამოქალაქო მონიტორინგსა და ეფექტიანი რეფორმების ადვოკატირებაში.

<u>კონკურსის ამოცანაა</u> საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამის რეგიონული პარტნიორი ორგანიზაციების შერჩევა, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ სურსათის უვნებლობის მიმართულებით პროგრამის მიერ დაგეგმილ საქმიანობაში.

საგრანტო პროექტების მიერ განსახორციელებელი ძირითადი საქმიანობა და CSRDG-ისთან თანამშრომლობა

პროექტის „გაზრდილი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა და მომხმარებელთა ცნობიერება“ ფარგლებში CSRDG შემდეგ ძირითად საქმიანობას ახორციელებს:

1. **მონიტორინგისა და ადვოკატირების კამპანიები სურსათის უვნებლობის სფეროში არსებულ სხვადასხვა პრობლემასთან დაკავშირებით:** შეირჩევა კონკრეტული საკითხები, მოხდება მათი შესწავლა და მოგვარების გზების მოძიება. მომზადდება ანგარიშები, რომელთა განხილვა საჯარო შეხვედრებზე მოხდება. ხელისუფლებისადმი მიმართული რეკომენდაციების შესრულება გადამოწმდება პროექტის განმავლობაში. სულ 5 კამპანიის განხორციელებაა გათვალისწინებული.
2. **სამოქალაქო განათლებისა და მონაწილეობის კამპანია სურსათის უვნებლობის სფეროში:** მომზადდება სხვადასხვა საინფორმაციო-საგანმანათლებლო მასალა, მოეწყობა საჯარო შეხვედრები სამიზნე რეგიონების ყველა მუნიციპალურ ცენტრში, ჩატარდება ორი სემინარი და კონკურსი მედიის წარმომადგენელთათვის.

მოცემული კონკურსი ითვალისწინებს პროექტის სამიზნე რეგიონებში ორ-ორი საზოგადოებრივი ორგანიზაციის შერჩევას, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საქმიანობის განხორციელებაში, დაეხმარებიან CSRDG-ის ადგილებზე ინფორმაციის შეგროვება-გავრცელებაში და სამიზნე ჯგუფების მობილიზებაში.[1]

თავის მხრივ, CSRDG გაუზიარებს რეგიონულ პარტნიორ ორგანიზაციებს სურსათის უვნებლობის სფეროში თავის ცოდნასა და გამოცდილებას, უზრუნველყოფს ადგილებზე გამოვლენილი პრობლემების ცენტრალურ ხელისუფლებამდე და მედიამდე მიტანას, მოახდენს პროექტის ფარგლებში რეგიონული პარტნიორების მიერ განხორციელებული საქმიანობის კოორდინაციას.

პროექტის მიწურულს CSRDG რეგიონულ პარტნიორებს შესთავაზებს კოალიციაში გაერთიანებას, რომელიც ხელს შეუწყობს მის წევრებს მომხმარებლის უფლებების დაცვის მიმართულებით თანამშრომლობაში, კოორდინაციაში და დაფინანსების მოძიებაში.

ბიუჯეტი

თითოეული გრანტისათვის გათვალისწინებული მაქსიმალური ბიუჯეტი შეადგენს 25 000 ევროს.

[1] რეგიონის შიგნით პარტნიორი ორგანიზაციების გეოგრაფიული განაწილება მოხდება განაცხადების შერჩევის ეტაპზე, განმცხადებლებთან შეთანხმებით.

ბიუჯეტში დაშვებულია შემდეგი ხარჯების შეტანა: შრომის ანაზღაურება, მიმდინარე საოფისე, საკომუნიკაციო და სატრანსპორტო ხარჯები, საოფისე ტექნიკა და ინვენტარი, რომლებიც აუცილებელია საგრანტო პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად.

900 ევრო გამოყოფილი უნდა იყოს სურსათის ლაბორატორიული კვლევებისათვის, რომლებიც მონიტორინგის კამპანიების ფარგლებში ჩატარდება.

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის იხილეთ დანართი 1. განაცხადის ფორმა.

საგრანტო პროექტების ვადები

საგრანტო პროექტების ხანგრძლივობა უნდა შეადგენდეს 30 თვეს.

ვის შეუძლია კონკურსში მონაწილეობა?

კონკურსში მოწვეული არიან საზოგადოებრივი ორგანიზაციები (არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები - ა(ა)იპ), რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ მოთხოვნებს:

- რეგისტრირებულები არიან და მოქმედებენ პროექტის სამიზნე რეგიონებში.
- დამოუკიდებლები არიან სახელისუფლებო დაწესებულებებისა და მეწარმეებისაგან.
- მათ ძირითად მიზანს ან საქმიანობას <u>არ წარმოადგენს</u> მეწარმეთა დახმარება.
- აქვთ გამოცდილება სამოქალაქო განათლებაში, მონიტორინგსა და ადვოკატირებაში (სასურველია სურსათის უვნებლობის სფეროში).
- ევროკავშირის ან სხვა დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების განხორციელების გამოცდილება უპირატესობად ჩაითვლება.

კონკურსში მონაწილეობა არ შეუძლიათ იმ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, რომლებსაც კონკურსის მიზანსა და ამოცანასთან ნებისმიერი სახის ინტერესთა შეუთავსებლობა აქვთ.

შერჩევის პროცედურა

შეფასების პირველ ეტაპზე, განიხილება წარმოდგენილი განაცხადების შესაბამისობა კონკურსის მიზანთან და ამოცანასთან. ის განაცხადები, რომლებიც შეუსაბამოდ ჩაითვლება, შეფასების შემდეგ სტადიაზე ვერ გადავა.

შეფასების მეორე ეტაპზე განაცხადები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

	შეფასების კრიტერიუმი	**ქულა**
1	განმცხადებელი ორგანიზაციის გამოცდილება პროექტის მართვაში	20 ქულა
2	განმცხადებელი ორგანიზაციის გამოცდილება სამოქალაქო განათლებაში, მონიტორინგსა და ადვოკატირებაში (გამოცდილება სურსათის უვნებლობის სფეროში უპირატესობად ჩაითვლება)	20 ქულა
3	საგრანტო პროექტის განმახორციელებელი გუნდის კვალიფიკაცია და გამოცდილება	30 ქულა
4	ბიუჯეტის ხარჯთეფექტიანობა	10 ქულა
5	რამდენად წაადგება პროექტი განმცხადებელი ორგანიზაციის განვითარებას	10 ქულა
სულ		90 ქულა

საგრანტო პროექტის განმახორციელებელ გუნდში ქალების ჩართვა უპირატესობად ჩაითვლება.

- ზემოთ მითითებული ქულები გამოიყენება განაცხადების რეიტინგის შესადგენად, რის საფუძველზეც გამოიყოფა მოკლე სია იმ განაცხადებისა, რომლებიც საკონკურსო კომისიის სხდომაზე განიხილება. კონკურსის გამარჯვებულების გამოვლენა მხოლოდ ქულების მიხედვით არ მოხდება.
- კომისიას შეუძლია მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია და განმცხადებელთან ადგილზე ვიზიტი განახორციელოს. დამატებითი ინფორმაციის მოსაწოდებლად განმცხადებლებს, სულ მცირე, 4 სამუშაო დღე მიეცემათ.
- დამატებითი ინფორმაციის განხილვის შემდეგ, CSRDG მიიღებს გადაწყვეტილებას კონკურსის გამარჯვებულების თაობაზე.

საკონკურსო განაცხადი

საკონკურსო განაცხადი უნდა მომზადდეს ქართულ ენაზე და შემდეგ დოკუმენტაციას მოიცავდეს:

- შევსებული განაცხადის ფორმა (დანართი 1).
- საგრანტო პროექტის განმახორციელებელი გუნდის CV-ები.[2]
- საგრანტო ბიუჯეტი, დანართ 2-ში მოცემული ფორმის მიხედვით.

განაცხადები უნდა გაიგზავნოს ელფოსტის მისამართზე tamar.gobejishvili@csrdg.ge.
წერილის საგნის ველში მიუთითეთ „საგრანტო კონკურსი“.

განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2023 წლის 25 მაისი.
კონკურსის მონაწილეებს გაეგზავნებათ განაცხადების მიღების დასტურები.

არაუგვიანეს 2023 წლის 26 ივნისისა, კონკურსის ყველა მონაწილე მიიღებს CSRDG-ს წერილობით პასუხს, მისი განაცხადის შერჩევასთან დაკავშირებით.

კონსულტაციები

კონკურსთან დაკავშირებით კითხვების შემთხვევაში მსურველებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ორ ონლაინკონსულტაციაში, რომლებიც „ზუმის“ პლატფორმის მეშვეობით გაიმართება:

- 1 მაისი, 12:00 საათი.
- 8 მაისი, 12:00 საათი.

კონსულტაციებში მონაწილეობის მსურველებმა, სულ მცირე, ერთი სამუშაო დღით ადრე უნდა მიმართონ CSRDG-ის მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამის ასისტენტს, თამარ გობეჯიშვილს, ელფოსტაზე tamar.gobejishvili@csrdg.ge, რის შემდეგაც საკუთარ ელფოსტაზე გაეგზავნებათ შეხვედრაზე შესასვლელი ბმული.

[2] გუნდის წევრებს არ უნდა გააჩნდეთ რაიმე სახის ინტერესთა შეუთავსებლობა კონკურსის მიზანსა და ამოცანასთან, მათ შორის, ისინი არ უნდა იყვნენ პარალელურად დასაქმებული შემდეგ ორგანიზაციებში: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ან მის სტრუქტურაში შემავალი დაწესებულება, სურსათის ბიზნესოპერატორი, სურსათის სექტორის ბიზნეს ან ფერმერთა ასოციაცია.